ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

დაბა ქედა

განკარგულება:**გ-95. 95233005**

თარიღი:**27/10/2023**

ელექტრონული პეტიციის განხილვის შედეგების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენის თაობაზე

2023 წლის 17 მაისს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში რეგისტრირებული იქნა მოქალაქე ზვიად გოგიტიძის (პ/ნ 61008003272) მიერ ინიციირებული ელექტრონული სახის პეტიცია, რომელიც ითვალისწინებს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიმდებარედ, ქედის ცენტრის ხიდიდან მარჯვნივ, გზის ზედა ნაწილში ბანერის განთავსებას წარწერით ,,მამული, ენა, სარწმუნოება“ ილია ჭავჭავაძის გამოსახულებასთან ერთად.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 86-ე მუხლის მე-11 პუნქტისა და ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის 117-ე მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მაისის №01-07/07 ბიუროს სხდომის გადაწყვეტილებით პეტიცია განსახილველად გადაიგზავნა ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში (მერთან).

პეტიცია განხილული იქნა მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ და შედეგების შესახებ ინფორმაცია (მერის 2023 წლის 18 ოქტომბრის №94-94232919 წერილი, შემოსული კორესპოდენციის საკრებულოს აპარატში რეგისტრაციის №12-95232911-95; 18/10/2023) მოწოდებული იქნა საკრებულოსათვის.

,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტისა და 117-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ცნობად იქნეს მიღებული ელექტრონული სახით წარმოდგენილი პეტიციის განხილვის შედეგების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში, თანახმად დანართი №1-სა.

2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.

3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს (როლანდი ბერიძე).

4. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი